საქართველოს მთავრობის

დადგენილება №458

2024 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. განისაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდების) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები და ზოგიერთი CPV კოდის მონეტარული ზღვრები, რომელთა ფარგლებში, საქართველოს მთავრობის/პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული/ანგარიშვალდებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ასევე იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომელთა ხელმძღვანელებსაც ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას, წესის (დანართი №1) შესაბამისად.

1^1. განისაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდების) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები, რომელთა ფარგლებში საქართველოს მთავრობის/პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული/ანგარიშვალდებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ასევე იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომელთა ხელმძღვანელებსაც ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც მოიცავს ერთდროულად სამშენებლო სამუშაოსა და საპროექტო მომსახურებას (Design-build), შესყიდვის განხორციელებამდე საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას, დანართ №3-ის შესაბამისად.

2. განისაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (ერთჯერადად შესყიდვის ღირებულება აჭარბებს CPV კოდს) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები და მონეტარული ზღვრები, რომელთა ფარგლებში, „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებით განსაზღვრული, პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების, მათ დაქვემდებარებაში მყოფი/კონტროლირებადი დაწესებულებების/საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წინასწარ თანხმობას, წესის (დანართი №2) შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის დადგენილება №143 - ვებგვერდი, 15.05.2025წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან და ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი №1

მუხლი 1. შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდების) მიხედვით კლასიფიკატორის კოდებისა

და ზოგიერთ CPV კოდზე მონეტარული ზღვრების (ცხრილი №1) ფარგლებში, საქართველოს მთავრობის/პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული/ანგარიშვალდებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ასევე იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომელთა ხელმძღვანელებსაც ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას.

მუხლი 2

დანართ №1-ის პირველი მუხლით განსაზღვრული სუბიექტების გარდა:

ა) სხვა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციებისა, უზრუნველყონ დანართ №1-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს მთავრობისათვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა;

ბ) მუნიციპალიტეტებმა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ დანართ №1-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის დადგენილება №130 - ვებგვერდი, 01.05.2025წ.

მუხლი 3. დანართ №1-ის პირველი და მე-2 მუხლებით განსაზღვრულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას თან უნდა დაურთონ:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის განხორციელების მიზნობრიობისა და აუცილებლობის დეტალური დასაბუთება. შესყიდვის განმახორციელებელი და ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა);

ბ) სრული სატენდერო დოკუმენტაცია, მათ შორის, სატენდერო პირობები, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები (ელექტრონული ტენდერის განცხადების პროექტი (PDF ფორმატში)) და სხვა შესყიდვის საგანთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

გ) ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია, დანართ №1-ის პირველი მუხლით განსაზღვრული კლასიფიკატორის კოდში შემავალი შესყიდვის თითოეული ობიექტისათვის ცალ-ცალკე; იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის კვლევა განხორციელებულია ინვოისების საფუძველზე, ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია უნდა აერთიანებდეს არანაკლებ სამი პოტენციური მიმწოდებლის შეთავაზებას. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლების მინიმალური რაოდენობის გამოკითხვის შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესაბამის დოკუმენტაციაში (სამართლებრივი აქტის პროექტის განმარტებითი ბარათი/ინფორმაცია) უნდა დაასაბუთოს ბაზრის კვლევაში არანაკლებ სამი პრეტენდენტის მონაწილეობის შემაფერხებელი გარემოებები;

დ) დაზიანებული/ამორტიზებული შესყიდვის ობიექტის შეცვლის მიზნით გამოსაცხადებელი შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მომზადებული დეფექტური აქტი/დასკვნა;

ე) დანართ №1-ის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დასაბუთება, საჭიროებისამებრ.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის დადგენილება №143 - ვებგვერდი, 15.05.2025წ.

მუხლი 4

1. დანართ №1-ის პირველი მუხლითა და მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საქართველოს მთავრობისგან წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან საქართველოს მთავრობისთვის ინფორმირების მიზნით გამოგზავნილ დოკუმენტაციას განიხილავს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (დოკუმენტაცია საქართველოს მთავრობას წარმოედგინება შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის მეშვეობით), რომელიც:

ა) უფლებამოსილია, ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ტექნიკური ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნების კონკურენტუნარიანობის კვლევა, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მის მიერ განხორციელებული ბაზრის კვლევის ალტერნატიული მეთოდით ჩატარების მოთხოვნა;

ბ) ინფორმირების მიზნით, წარდგენილ დოკუმენტაციაზე გასცემს რეკომენდაციას (დადებითი, უარყოფითი ან შენიშვნებით), რომელიც არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. დანართ №1-ის მე-3 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის განხილვის ვადა შეადგენს 20 სამუშაო დღეს მისი განსახილველად რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ინფორმირების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე გაცემული ნებისმიერი რეკომენდაციის ასლი ეგზავნება სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

4. განსაკუთრებული საჭიროებისას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, ერთჯერადად შესაძლებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი განხილვის ვადის გაგრძელება 3 სამუშაო დღით, რაც უნდა ეცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილი ვადის განმავლობაში სხვაგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საკითხი მიიჩნევა განხილულად.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის დადგენილება №143 - ვებგვერდი, 15.05.2025წ.

მუხლი 5. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას, ამ დადგენილებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას ხელს აწერენ მხოლოდ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელის მოადგილე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილია იმ უწყების ხელმძღვანელის/ხელმძღვანელის მოადგილის მიერ, რომლის სისტემაშიც/მმართველობის სფეროშიც შედის ეს შემსყიდველი ორგანიზაცია. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია არ განიხილავს ამ წესის დარღვევით წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

მუხლი 6. სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს, რომ დანართ №1-ის პირველ მუხლში მითითებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დანართ №1-ის პირველი მუხლით განსაზღვრული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უფლება მიეცეთ მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების შემდგომ.

მუხლი 7

დანართი №1 ვრცელდება ელექტრონული საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, გარდა:

ა) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნის მთავრობების (დონორების) მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

დ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

ე) საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

ზ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

თ) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

ი) სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

კ) სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ განხორციელებული შესყიდვებისა;

ლ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელებული შესყიდვებისა.

მუხლი 8

1. დანართ №1-ის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარი თანხმობის გაცემის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოედგინება საქართველოს მთავრობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციები დანართ №1-ის მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად მიიღებენ დადებით რეკომენდაციას.

2. იმ შემთხვევაში, თუ დანართ №1-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გაიცა უარყოფითი ან შენიშვნებით რეკომენდაცია, რასაც არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაცია, განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოედგინება საქართველოს მთავრობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული არგუმენტაციით.

3. დანართ №1-ის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამავე დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს მთავრობას წინასწარი თანხმობის მისაღებად.

მუხლი 9. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრების დაცვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 155^1 მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შესაბამისი დადგენილების მიღებამდე/ამოქმედებამდე, დანართ №1-ით განსაზღვრული პროცედურები შესაბამისად გავრცელდეს ამავე დანართით განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციებზე, მათ მიერ 2026 წლის შესყიდვების გეგმით შესასყიდ იმ ობიექტებთან მიმართებით, რომლებიც ექცევიან დანართ №1-ის პირველი მუხლით განსაზღვრულ კლასიფიკატორის კოდებში.

ცხრილი №1

CPV კოდი	დასახელება	მონეტარული ზღვარი (ლარი)	შენიშვნა
30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	15 000	მონეტარული ზღვარი გამოიყენება შემდეგი პრინციპით: ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვის ღირებულება აჭარბებს თითოეულ CPV კოდზე განსაზღვრულ მონეტარულ ზღვარს.

32300000	ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა	20 000	
39100000	ავეჯი	15 000	
18100000	სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები	500 000	
18200000	გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი	500 000	
18300000	ტანსაცმელი	500 000	
18400000	სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები	500 000	
18800000	ფეხსაცმელი	200 000	
45100000	სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	1 000 000	
45200000	მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	1 000 000	
45300000	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	1 000 000	
45400000	შენობის დასრულების სამუშაოები	1 000 000	
34100000	ავტოსატრანსპორტო საშუალებები		
32200000	რადიოტელეფონიის, რადიოსატელეგრაფო, რადიო- და ტელემაუწყებლობის აპარატურა		

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის დადგენილება №143 - ვებგვერდი, 15.05.2025წ.

დანართი №2

მუხლი 1. შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (ერთჯერადად შესყიდვის ღირებულება აჭარბებს CPV კოდს) მიხედვით, კლასიფიკატორის კოდებისა და მონეტარული ზღვრების (ცხრილი №2) ფარგლებში, „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებით განსაზღვრული, პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების (გარდა დანართ №2-ის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისა), მათ დაქვემდებარებაში მყოფი/ კონტროლირებადი დაწესებულებების/საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ (გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) წინასწარ თანხმობას.

მუხლი 2. დანართ №2-ის პირველი მუხლით განსაზღვრული სუბიექტების გარდა, ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სსიპ – საპენსიო სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო

(არაკომერციულ) იურიდიულ პირს – მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა შემსყიდველ ორგანიზაციებს (გარდა მუნიციპალიტეტებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა), უზრუნველყონ დანართ №2-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სააგენტოსთვის.

მუხლი 3

დანართ №2-ის პირველი და მე-2 მუხლებით განსაზღვრულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას თან უნდა დაურთონ:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) შესყიდვის ობიექტის დასახელება;

გ) CPV კოდი;

დ) შესყიდვის ობიექტის აღწერა (ტექნიკური დავალება);

ე) რაოდენობა (მოცულობა);

ვ) ერთეულისა და ჯამური ღირებულება;

ზ) შესრულების ვადები და ადგილი;

თ) შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის განხორციელების მიზნობრიობისა და აუცილებლობის დასაბუთება;

ი) ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგები (თითოეული ობიექტისათვის ცალ-ცალკე) (ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია უნდა აერთიანებდეს არანაკლებ სამი პოტენციური მიმწოდებლის შეთავაზებას. მიმწოდებლების მინიმალური რაოდენობის გამოკითხვის შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაასაბუთოს ბაზრის კვლევაში მინიმუმ სამი პრეტენდენტის მონაწილეობის შემაფერხებელი გარემოებები).

მუხლი 4

1. დანართ №2-ით განსაზღვრული წინასწარი თანხმობის ან ინფორმირების მიზნით, სააგენტოსთვის წარდგენილ დოკუმენტაციასთან (ინფორმაციასთან) დაკავშირებით, სააგენტო უფლებამოსილია:

ა) წინასწარი თანხმობის მიზნით – ქსელური, აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების, ასევე მათი შემუშავების ან/და მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების საფრთხეების შეფასების ფარგლებში, გასცეს სათანადო მითითებები და რეკომენდაციები შესყიდვის განხორციელების მიზანშეწონილობის ან პროდუქტიულობის შესახებ, ასევე, დაზუსტების მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციისაგან დამატებით მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

ბ) ინფორმირების მიზნით წარდგენილ დოკუმენტაციაზე (საკითხზე) გასცეს რეკომენდაციები (დადებითი, უარყოფითი ან შენიშვნებით), რომლებიც არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განხილვის ვადა შეადგენს 10 სამუშაო დღეს, მისი განსახილველად რეგისტრაციის მომენტიდან.

3. წინასწარი თანხმობისა და ინფორმირების მიზნით წარდგენილ დოკუმენტაციაზე გაცემული ნებისმიერი რეკომენდაციის ასლი ეგზავნება სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

4. განსაკუთრებული საჭიროებისას, სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით, ერთჯერადად შესაძლებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი განხილვის ვადის გაგრძელება 3 სამუშაო დღით, რაც უნდა ეცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილი ვადის განმავლობაში სხვაგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საკითხი მიიჩნევა განხილულად.

მუხლი 5. სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს, რომ დანართ №2-ის პირველ მუხლში მითითებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დანართ №2-ის პირველი მუხლით განსაზღვრული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უფლება მიეცეთ მხოლოდ სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღების შემდგომ.

მუხლი 6. დანართი №2 ვრცელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით განსახორციელებელ და გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, გარდა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა.

ცხრილი №2

CPV კოდები შესაბამისი მონეტარული ზღვრებით

CPV კოდი	მონეტარული ზღვარი (ლარი)
32400000	20 000
32500000	10 000
48100000	10 000
48200000	50 000
48300000	10 000
48400000	10 000
48500000	10 000
48600000	10 000
48700000	20 000
48800000	10 000
48900000	10 000
72100000	10 000
72200000	10 000
72300000	10 000
72500000	20 000

72600000	20 000
72700000	20 000

დანართი №3

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის დადგენილება №143 - ვებგვერდი, 15.05.2025წ.

მუხლი 1. შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდების) მიხედვით კლასიფიკატორის კოდების (ცხრილი №3) ფარგლებში საქართველოს მთავრობის/პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული/ ანგარიშვალდებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ასევე იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომელთა ხელმძღვანელებსაც ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც მოიცავს ერთდროულად სამშენებლო სამუშაოსა და საპროექტო მომსახურებას (Design-build), შესყიდვის განხორციელებამდე საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას.

მუხლი 2. დანართ №3-ის პირველი მუხლით განსაზღვრული სუბიექტების გარდა:

ა) სხვა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციებისა, უზრუნველყონ დანართ №3-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს მთავრობისათვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა;

ბ) მუნიციპალიტეტებმა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ დანართ №3-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

მუხლი 3. დანართ №3-ის პირველი და მე-2 მუხლებით განსაზღვრულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას თან უნდა დაურთოს:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის განხორციელების მიზნობრიობისა და აუცილებლობის დეტალური დასაბუთება. შესყიდვის განმახორციელებელი და ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა);

ბ) სრული სატენდერო დოკუმენტაცია, მათ შორის სატენდერო პირობები, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები (ელექტრონული ტენდერის განცხადების პროექტი (PDF ფორმატში)) და სხვა შესყიდვის საგანთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

გ) ბაზრის კვლევის ამსახველი ინფორმაცია, დანართ №3-ის პირველი მუხლით განსაზღვრული კლასიფიკატორის კოდში შემავალი შესყიდვის თითოეული ობიექტისათვის ცალ-ცალკე;

დ) ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დასაბუთება, საჭიროებისამებრ.

მუხლი 4

1. დანართ №3-ის პირველი მუხლითა და მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საქართველოს მთავრობისგან წინასწარი თანხმობის მისაღებად წარსადგენ ან საქართველოს მთავრობისთვის ინფორმირების მიზნით გაგზავნილ დოკუმენტაციას განიხილავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (დოკუმენტაცია საქართველოს მთავრობას წარმოედგინება შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის

მეშვეობით), რომელიც:

ა) უფლებამოსილია, ფასების ადეკვატურობის დადგენის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, შესყიდვის ტექნიკური ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნების კონკურენტუნარიანობის კვლევა;

ბ) ინფორმირების მიზნით წარდგენილ დოკუმენტაციაზე გასცემს რეკომენდაციას (დადებითი, უარყოფითი ან შენიშვნებით), რომელიც არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის განხილვის ვადა შეადგენს 20 სამუშაო დღეს მისი განსახილველად რეგისტრაციის მომენტიდან.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე გაცემული ნებისმიერი რეკომენდაციის ასლი ეგზავნება სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

4. განსაკუთრებული საჭიროებისას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, ერთჯერადად შესაძლებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი განხილვის ვადის გაგრძელება 3 სამუშაო დღით, რაც უნდა ეცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილი ვადის განმავლობაში სხვაგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, საკითხი მიიჩნევა განხილულად.

მუხლი 5. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას, ამ დადგენილებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას ხელს აწერს მხოლოდ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელის მოადგილე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილია იმ უწყების ხელმძღვანელის/ხელმძღვანელის მოადგილის მიერ, რომლის სისტემაშიც/მმართველობის სფეროშიც შედის ეს შემსყიდველი ორგანიზაცია. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია არ განიხილავს ამ წესის დარღვევით წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

მუხლი 6. სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს, რომ დანართ №3-ის პირველ მუხლში მითითებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დანართ №3-ის პირველი მუხლით განსაზღვრული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უფლება მიეცეთ მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების შემდგომ.

მუხლი 7

1. დანართ №3-ის პირველი მუხლით განსაზღვრული წინასწარი თანხმობის გაცემის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოედგინება საქართველოს მთავრობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციები, დანართ №3-ის მე-4 მუხლის შესაბამისად, მიიღებენ დადებით რეკომენდაციას.

2. იმ შემთხვევაში, თუ დანართ №3-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გაიცა უარყოფითი ან შენიშვნებით რეკომენდაცია, რასაც არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაცია, განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოედგინება საქართველოს მთავრობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული არგუმენტაციით.

3. დანართ №3-ის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დანართ №3-ის პირველი მუხლით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განკარგულების პროექტი განსახილველად წარმოუდგინოს საქართველოს მთავრობას წინასწარი თანხმობის მისაღებად.

მუხლი 8. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრების დაცვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 155[1] მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შესაბამისი დადგენილების მიღებამდე/ამოქმედებამდე, დანართ №3-ით განსაზღვრული პროცედურები შესაბამისად გავრცელდეს ამავე დანართით განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციებზე, მათ მიერ 2026 წლის შესყიდვების გეგმით შესასყიდ იმ ობიექტებთან მიმართებით, რომლებიც ექცევიან დანართ №3-ის პირველი მუხლით განსაზღვრულ კლასიფიკატორის კოდებში.

ცხრილი №3

CPV კოდი	დასახელება
45100000	სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები
45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
45300000	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
45400000	შენობის დასრულების სამუშაოები.